სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 06 დეკემბერი, 2021
სხდომის დაწყების დრო: 16:00 საათი
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე, დათუნა მოდებაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ **თამარ კერძაიას და ხათუნა მამალაძის** განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.
აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ კერძაიას და ხათუნა მამალაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე